საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ართმელაძე დავით (ტიტე) ადამის ძე

ართმელაძე დავით (ტიტე) ადამის ძე (1. II. 1865, სოფ. ქვიანი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, –. 1938), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1917 გენერლობა მიანიჭა რუსეთის დროებითმა მთავრობამ), ქართ. არმიის გენერალი (1920). დაამთავრა თბილისის სამხ. სასწავლებელი. მონაწილეობდა I მსოფ. (1914-18) ომში. მსახურობდა ელიზავეტპოლის 156-ე ქვეით პოლკში. 1917 მეთაურობდა 127-ე ქვეით დივიზიას. დააარსა სამხ. კურსები ჯარისკაცებისათვის ქუთაისში, ფოთსა და ოზურგეთში. 1918-21 მსახურობდა ქართ. არმიაში, ჯერ იყო მე-2 ქვეითი ბრიგადის, ქართ. კორპუსის I დიივიზიის, შემდეგ მე-2 ქვეითი დივიზის მეთაური, სამხ. საბჭოს წევრი. 1919 ხელმძღვანელობდა კულტ.-საგანმანათლებლო მუშაობას ქართ. ჯარში. 1918 და 1921 იყო ჩრდ.-დას. (გაგრა-სოხუმის) ფრონტის სარდალი დაჯილდოებულია წმ. გიორგის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით. წმ. გიორგის იარაღით.

მ. გოგიტიძე